შეთანხმება
N02.11.03/10/78-1

ქ. თბილისი

27 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ვაკის რაიონის გამგეობა,** შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გამგებლის **ლაშა აბაშიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი",** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ ჩალაძის** სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილის 2015 წლის 27 აგვისტოს N10-24/2036 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობასა და შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს" შორის ქალაქ თბილისში უჩანეიშვილის ქუჩაზე პირველი გასასვლელის N16ა-სა და მე-2 გასასვლელი N3-ის მიმდებარედ გრუნტის დამჭერი რკინა ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით მიმდინარე წლის 16 ივლისს გაფორმებული N02.11.03/10/78 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად შევთანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილების განხორციელებაზე:

1. ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შემცირდეს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად და განისაზღვროს 55 062.03 (ორმოცდათხუთმეტი ათას სამოცდაორი ლარი და 03 თეთრი) ლარით.
2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ვაკის რაიონის გამგეობასა და შპს „სამშენებლო კომპანია მამისონს" შორის 2015 წლის 16 ივლისს გაფორმებული N02.11.03/10/78 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.

შემსყიდველი

ვაკის რაიონის გამგეობა
მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N10ა
ტელეფონი: 2 31 88 45
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.N: GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
ს/კ 204872539

მიმწოდებელი

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი"
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ N71

საბანკო რეკვიზიტები:
სს "ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგ.N: GE08BR0100003605005998
ს/კ 205204250

გამგებელი

ლაშა აბაშიძე

დირექტორი

ავთანდილ ჩალაძე